

გამარჯობა, ჩემო მეგობარო!

აღბათ წარმოგიდგენია, როგორი შეგრძნებაა დაიბადო თავისუფალ ქვეყანაში. თითქოს ყველაფერი მარტივადაა - ქუჩაში სიარული, სწავლა, ოცნებები, შენთვის ხელმისაწვდომი ნათელი მომავალი... მაგრამ გიფიქრია, რამდენად რთული შეიძლება ყოფილიყო ამ ყველაფრის მოპოვება ერთი პატარა ერისთვის, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იბრძოდა იმისთვის, რომ დღეს მე და შენ ერთმანეთში მშვიდად გვესაუბრა?

მე საქართველოდან გწერ - იმ პატარა ქვეყნიდან, რომელმაც თავისუფლებაში ძვირი გადაიხადა. ჩვენი მიწა არაერთი იმპერიის ხელში ყოფილა, ჩვენი ენა არაერთხელ დაუჩაგრავთ და დამოუკიდებლობა არაერთხელ დაგვიკარგავს. მაგრამ არასდროს დავცემულვართ სულით, არასდროს დაგვიკარგავს თავისუფლებისკენ ლტოლვის უნარი.

1918 წელს, როცა ჩემი ქვეყანა პირველად გამოცხადდა დამოუკიდებლად, სიხარულს მალე ტკივილი მოჰყვა - ოკუპაცია. ამის შემდეგ 70 წელი შემადრწუნებლად ბნელ საბჭოთა ეპოქაში გავატარეთ... სიბნელებაში ხელის ფათურით, მაგრამ მაინც შევძელით ენისა და რწმენის შენარჩუნება... მერე 1989 წლის 9 აპრილის ტყვიას, ბარსა და ნიჩაბს აფარებული ახალგაზრდების ზურგს უკან დადგა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ნორჩი გაზაფხული. თითქოს მზე სხვანაირად ამოზრწინდა. ხალხი ქუჩაში გავიდა სიმშვიდით, სიმამაცით, შიშის გარეშე, მაგრამ რუსულმა ტანკებმა ეს სიმშვიდე ჩაახშო. ეს იყო დღე, როცა ტკივილმა გზა გაუხსნა მომავალს. სწორედ იმ დღეს საქართველომ საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ თავისუფლება ყველაზე ძვირფასი მონაპოვარია.

1991 წელს, ჩემი ქვეყანა ხელახლა გახდა დამოუკიდებელი. მაშინ, როცა შენი ქვეყანა დემოკრატიული იყო, ჩვენ ახლიდან ვსწავლობდით როგორ უნდა გამოგვეთქვა აზრი ხმამაღლა და გვეცხოვრა საკუთარი წესებით. მაგრამ თავისუფლება მხოლოდ ერთხელ გამოცხადება არ არის. იგი ყოველდღიური ბრძოლაა. ხანდახან ვგრძნობ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვსწავლობთ თავისუფლებას. აღბათ ამიტომაც არის, რომ დამოუკიდებლობა გვაქვს, მაგრამ თავისუფლების გზაზე ჯერ კიდევ მივდივართ, რომელიც სავსეა ბზარებით, შეცდომებით, ხანდახან იმედგაცრუებითაც, მაგრამ მაინც იმედის ნაპერწკლებია ირგვლივ მიმოფანტული. ჩვენთვის ევროპა სარკეა - ის შინაგანი ფასეულობები, რაც ჩვენშიც არსებობს: ღირსება, თანასწორობა, სიყვარული და არჩევანის უფლება. ქართველებს ისტორიულად გვაქვს ეს ღირებულებები. ხომ იცი, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში მეფე ქალი გვყავდა - თამარი, რომლის დროსაც თავისუფლება და ღირსება ყველაზე მაღალ საფეხურზე იდგა.

მე ვარ ერთი პატარა გოგო ამ ქვეყნის გულიდან. ჩემი სიყვარული სამშობლოს მიმართ უსაზღვროა.

ჩემო მეგობარო, შენს ქვეყანაში შეიძლება სკოლიდან დაბრუნებისას მხოლოდ გაკვეთილებზე ფიქრობდე, ჩვენ კი ვფიქრობთ, როგორ შევცვალოთ ქვეყანა უკეთესობისკენ, როგორ დავიცვათ ის ღირებულებები, რაც სხვამ გვანდო. მინდა იცოდე, რომ საქართველოში გაიზარდა თაობა, რომლის გულში თავისუფლებამ ბუდე გაიკეთა, რომელიც არ დაელოდება, როდის მოუტანს ვინმე უკეთეს მომავალს, არამედ თავად ააშენებს მას.

და როცა შენს ქალაქში მზიანი დილა გათენდება, გახსოვდეს სადღაც კავკასიონის მთებთან, ერთი პატარა გოგო დიდი სიყვარულით გწერს, გულით სწამს თავისუფლების და სჯერა, რომ ოდესმე, შენსავით მშვიდად და მყარად იტყვის: „ჩვენი თავისუფლება ჭეშმარიტია“

სიყვარულით

შენი ქართველი მეგობარი, მეგი ცომაია

Hello, my friend,

You can probably imagine what it feels like to be born in a free country. Everything seems so simple - walking down the street, going to school, dreaming freely to a bright future...But have you ever thought about how difficult it might have been for a small nation to gain all of that - a nation that fought for centuries just so that today, you and I could speak to each other in peace? I'm writing to you from Georgia - a small country that paid a high price for freedom. Our land has been under the rule of many fierce empires. Our language has been suffered... Our independence has been taken from us more than once. But we've never been broken in spirit. We've never lost the longing for freedom. In 1918, when my country first declared independence, joy was continued only three years... It quickly replaced by sorrow - occupation followed. Then came seventy long, dark years under the Soviet govern... we moved through that darkness, feeling our way with hope, holding tightly to our language and faith. And then, behind the backs of young people who faced on bullets, spades and shovels on April 9, 1989, came the first tender spring of freedom and independence. It felt like the sun rose differently that day. People took to the streets with peace, courage, and without fear ... Russian tanks crushed that peace... But That day, pain cleared the path for the future. Georgia understood that freedom is the most precious treasure. In 1991, my country regained its independence. At a time when your country was already living with democracy, we were just learning how to speak our minds aloud, how to live by our own rules. But freedom isn't declared just once - it's a daily fight. Sometimes, I feel like we're still learning how to be free. That may be why we have independence, but are still walking the path toward true freedom - a path full of cracks, mistakes, and sometimes disappointment, yet scattered all around with sparks of hope. For us, Europe is a mirror - not of imitation, but of values that already live within us: dignity, equality, love, and the right to choose. These values have been part of us for centuries. Did you know that in the Middle Ages, we had a king -Tamar - under whose reign freedom and dignity stood at the highest peak? I am just a young girl, writing from the heart of this country. But my love for my homeland is endless. My friend, maybe when you walk home from school, you think only about your homework. Here, we think about how to change our country for the better, how to protect the values others entrusted to us. You should know - a generation has grown up in Georgia, a generation in whose hearts freedom has made a home. A generation that won't wait for someone to bring a better future, but will build it with their own hands. And when the sun rises over your city one morning, remember - somewhere near the Caucasus Mountains, a young girl is writing to you with great love, with her heart full of belief in freedom, and with hope that one day, she will also say, as calmly and confidently as you: "Our freedom is true."

With love,

Your Georgian friend,

Megi Tsomaia

სახელი და გვარი: მეგი ცომაია

ასაკი: 14

სკოლის დასახელება: სსიპ. ქალაქ ფოთის N12 საჯარო სკოლა

კლასი: VIII

